



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მეცამეტე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო;
- მოვლენები და სუბიექტები ნეიტრალურად შუქდება;
- სამთავრობო სტრუქტურების (პარლამენტი, მთავრობა) გაშუქების მატების პარალელურად მოიკლო კოალიცია "ქართული ოცნების" აქტივობების გაშუქებამ;
- საგრძნობლად მოიმატა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებამ;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 29 ოქტომბერი - 4 ნოემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), "მარნეული ტვ" (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

29 ოქტომბერი - 4 ნოემბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არ ჰქონდათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი


თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).


ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 18 წუთი აჭარის მთავრობას დაეთმო, 10 წუთი - აჭარის პარლამენტს, 10 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას. გამუქების 5-5 წილად ხვდათ მთავრობას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტების გამუქებისას სამივე ტონი დაფიქსირდა, თუმცა ნეიტრალურ ტონში გამუქება ბევრად სჭარბობდა პოზიტიურ და განსაკუთრებით ნეგატიურ ტონებში გამუქებას:




სუბიექტებზე თანაბრად საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტები:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „25-ე არხი“ ძირითადად რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. ყველაზე მეტი დრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებას დაეთმო. ტელეკომპანია აშუქებდა, როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციებს, შესაბამისად სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებული იყო. ჟურნალისტი სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდა: მისი ტონი (ტექსტი) ყოველთვის ნეიტრალური და მიუკერძოებელი იყო.


"რიონი" (ქ. ქუთაისი) - ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 18 წუთი მთავრობის გაშუქებას დაეთმო. გაშუქების 13 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 12 წუთი - პარლამენტს.



სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა გვქონდა პოზიტიურ და ნეგატიურ ტონებში გაშუქების შემთხვევებიც. დათმობილი დროის 47% ნეგატიურად გაშუქდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 41% - კოალიცია "ქართული ოცნება". პოზიტიურ ტონში ყველაზე მეტი გაშუქება მთავრობას (30%) ჰქონდა.




პარლამენტის გაშუქებისას დაფიქსირდა პირდაპირი საუბრის 70%. სხვა სუბიექტების შემთხვევებშიც პირდაპირი გაშუქება მეტი იყო. ირიბი საუბარი პირდაპირს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (39%/61%) და კოალიცია "ქართული ოცნების" (38%/62%) შემთხვევებში სჭარბობდა.




საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია "რიონმა" საინფორმაციო გამოშვებაში აქტიურად გააშუქა პარლამენტში მიმდინარე მოვლენები: დიდი დრო დაეთმო პარლამენტში მიმდინარე დებატებს, პლენარულ სხდომებს და დისკუსიებს. გადაცემები იყო დაბალანსებული, ჟურნალისტის ტექსტი კი - მიუკერძოებელი. სიუჟეტებში გაშუქებული იყო ყველა დაინტერესებული მხარე.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 25 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 9 წუთი წილად ხვდა მთავრობას, 5 წუთი - პარლამენტს. ხოლო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და კოალიცია "ქართულ ოცნებას" წუთზე ნაკლები დრო დაეთმო.



სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურ ტონში აშუქებდნენ. თუმცა გვქონდა პოზიტიურ და ნეგატიურ ტონში გაშუქების შემთხვევებიც:




ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას პირდაპირ საუბარზე დათმობილი დროის 66% მოდიოდა. მთავრობის გაშუქებისას კი უფრო მეტი ირიბი საუბარი (72%) იყო.




საანგარიშო კვირაში ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე ხშირად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა გაშუქდა. მას სამჯერ მეტი დრო დაეთმო, ვიდრე მომდევნო სუბიექტ მთავრობას. აქტიურად გაშუქდა რუსთავის ციხის პატიმრებისა და მათი ახლობლების პროტესტიც. ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო, როგორც პროტესტის მონაწილეთა, ასევე ოფიციალური წყაროების პოზიციები.

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტებიდან მხოლოდ მთავრობა გაშუქდა. მას 2 წუთი დაეთმო, გაშუქება ნეიტრალური იყო, 60% კი პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 18 წუთი, ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას დაეთმო. გაშუქების 5 წუთი წილად ხვდა მთავრობას, 4 წუთი - პარლამენტს, 3 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. თუმცა ნეიტრალურ ტონში გაშუქება სჭარბობდა. დადებითი ტონი დაფიქსირდა კოალიცია "ქართული ოცნების" (50%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (43%) და ადგილობრივი თვითმმართველობის (12%) გაშუქებისას. ხოლო ნეგატიური ტონი - მთავრობის (12%), პარლამენტის (17%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (18%).




სუბიექტების გაშუქებისას არაპირდაპირი საუბარი ხშირ შემთხვევებში ბევრად სჭარბობდა (ან 100% შეადგენდა) პირდაპირს. ეს მახასიათებლები თითქმის თანაბარი იყო მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში.




საანგარიშო კვირის განმავლობაში ტელეკომპანია "მეცხრე არხის" საინფორმაციო გამოშვებებში ძითადად რეგიონის სიახლეები შუქდებოდა. თუმცა არც ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები დარჩენილა ყურადღების გარეშე. კვირის ერთ-ერთი მთავრი თემა ადმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობებში შექმნილ სიტუაცია იყო. საკითხის გაშუქებისას ჟურნალისტის ტონი ნეიტრალური იყო.


"თანამგზავი" (თელავი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო , 27 წუთი, მთავრობის გაშუქებას დაეთმო, 10 წუთი - პარლამენტის, 8 წუთი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, 3 წუთი - კოალიცია "ქართული ოცნების".



სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდნენ, თუმცა დაფიქსირდა პოზიტიური და ნეგატიური ტონებიც. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დათმობილი დროის 44% ნეგატიურ ტონში გაშუქდა. ნეგატიურ ტონში გაშუქების 25% კი კვალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში გვქონდა.




სუბიექტების პირდაპირი გაშუქება უფრო მეტი იყო ირიბ საუბარზე. მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში ირიბი (61%) მეტი იყო პირდაპირ (39%) საუბარზე.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "თანამგზავრი" აშუქებდა როგორც ადგილობრივ, ისე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. საინფორმაციო გამოშვებები ყოველთვის ადგილობრივი ინფორმაციებით იწყებოდა. სიუჟეტები დაბალანსებულია, მოვლენები ძირითადად ნეიტრალურად შუქდება. თუმცა, 30 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში, სადაც განხილული იყო გენერალური პროკურატურის ახალი კადრებით დაკომპლექტება, დარღვეული იყო ჟურნალისტური სტანდარტი - გენერალური პროკურორის პრესკონფერენციის გაშუქებას 8 წუთი დაეთმო.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში 7-7 წუთი დაეთმოთ ადგილობრივ თვითმმართველობას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 5 წუთი - კალიცია "ქართულ ოცნებას", 3 წუთი - პარლამენტს.



სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ. თუმცა გამოვლინდა პოზიტიური და ნეგატიურ ტონებიც. დათმობილი დროის 96% ნეგატიურ ტონში გაშუქდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.




სუბიექტებზე სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ. ასპროცენტის ირიბი გაშუქება ჰქონდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. 91% ირიბად იყო გაშუქებული კვალიცია "ქართული ოცნება".




ტელეკომპანია „თრიალეთი“ მონიტორინგის სუბიექტებს აქტიურად აშუქებდა. ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ თვითმმართველობასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი უარყოფით კონტექსტში გაშუქდა, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობის გაშუქებისას ჟურნალისტის სუბიექტური შეფასებები ჩანდა, მაგალითად: 1 ნოემბრის გამოსვლებაში ჟურნალისტი ამბობს: „გორის მუნიციპალიტეტში, როგორც ყოველთვის, კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავეს“. მსგავსი შეფასება, როდესაც რიგ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის კომენტარებიც არის წარმოდგენილი, გადაჭარბებულია და თვითმმართველობის მიმართ დამატებით ნეგატიურ განწყობას ქმნის.


"გურია" (ქ. ოზურგეთი) - არხმა 8 წუთი დაუთმო პარლამენტის გაშუქებას, 7 წუთი - მთავრობის, 5 წუთი - ადგილობრივი თვითმმართველობის.



სუბიექტებს ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა გამოვლინდა მცირე პოზიტიური და ნეგატიური ტონებიც. მხოლოდ ნეგატიურ ტონი დაფიქსირდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (დათმობილი დრო 1,28 წთ.) მიმართ.




სუბიექტების გაშუქებისას თითქმის თანაბარიყო პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მახასიათებლები. მხოლოდ ირიბი საუბარი გვექონდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში.



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "გურია" აქცენტს რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე და მთავრობის ინიციატივებზე აკეთებდა. ახალი ამბები ძირითადად საინფორმაციო ხასიათის იყო, მოვლენები ნეიტრალურად შუქდებოდა, ჟურნალისტის მხრიდან სუბიექტური შეფასებების გარეშე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოიმატა ადგილობრივი თვითმმართველობის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ გამოთქმულმა კრიტიკამ.

"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებისთვის დრო არ დაუთმიათ.


"იმერვიზია" (ჭიათურა) - არხმა დაახლოებით 5 წუთი დაუთმო ადგილობრივი თვითმმართველობას. მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაუშუქებიათ.




ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას გამოვლინდა მხოლოდ პოზიტიურ (27%) და ნეიტრალურ (73%) ტონებში საუბარი; ხოლო პირდაპირი საუბარი (75%) სჭარბობდა ირიბს (25%).

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "იმერვიზიის" საინფორმაციო გამოშვებების მთავარი თემა ჭიათურელი მადაროელების გაფიცვა იყო. მონიტორინგის სუბიექტებს დრო ნაკლებად დაეთმოთ (ჯამში 6 წუთი). კვლევის ეს შედეგები ღრმა თვისებრივი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.

"არგო" (ქ. ზესტაფონი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 10 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 4 წუთი წილად ხვდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, დაახლოებით 3-3 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, პარლამენტს და მთავრობას.




სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა, თუნცა ნეიტრალური სჭარბობდა დადებითსა და უარყოფითს. პოზიტიური ტონი მაღალი იყო მთავრობის (45%) გაშუქებისას. ხოლო ნეგატიური ტონი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (57%) და კოალიცია "ქართული ოცნების" (58%- დათმობილი დრო 1,41წთ.) გაშუქებისას. ნეგატიური ტონი ასევე გამოვლინდა ადგილობრივ თვითმმართველობაზე საუბრისას (27%).



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

სუბიექტებზე ირიბი საუბარი ხშირ შემთხვევებში სჭარბობდა პირდაპირ გაშუქებას. გაშუქების ასივე პროცენტი ირიბ საუბარზე მოდიოდა მთავრობის და კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევებში. ირიბი გაშუქება ასევე სჭარბობდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (92%) შემთხვევაში. პირდაპირი საუბარი ირიბზე მეტი იყო პარლამენტის (79%) და ოპოზიციის (93%) გაშუქებისას.




საანგარიშო კვირის მანძილზე ტელეკომპანია ყოველდღიურად ამზადებდა საინფორმაციო გამოშვებებს, რომელთა ქრონომეტრაჟი დაახლოებით 10 წუთს შეადგენდა.


კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა პარლამენტის ყოფილი წევრის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის კახა გეწაძის მუნიციპალიტეტის გამგებლად დანიშვნა იყო. საკრებულოს სხდომაზე ამ საკითხის განხილვას ხმაური მოჰყვა. საინფორმაციო გამოშვებებში ეს თემა დაბალანსებულად და ჟურნალისტური შეფასებების გარეშე გაშუქდა. არხმა მოწინააღმდეგე მხარეებს პირდაპირი საუბრისათვის თანაბარი დრო დაუთმო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ამბების გამოშვება "სპექტრში" მნიშვნელოვანი დრო რეგიონის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სპორტულ სიახლეებს ეთმობა.

"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - ახალი ამბების გამოშვებებში 7 წუთი ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას დაეთმო. მონიტორინგის სხვა სუბიექტებზე საუბარი არ ყოფილა. ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქების 85% ნეიტრალური იყო, ხოლო 79% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. კვლევის ეს შედეგები უფრო ღრმა თვისებრივი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.




"მარნეული ტვ" (ქ. მარნეული) - არხმა დაახლოებით 9 წუთი დაუთმო მთავრობას, წუთზე ოდნავ ნაკლები - პარლამენტს. მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაუშუქებიათ. მთავრობის გაშუქებისას გამოვლინდა ნეიტრალური (97%) და პოზიტიური (3%) ტონები. ხოლო პირდაპირი საუბარი (62%) მეტი იყო ირიბზე (38%).




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "მარნეული" საინფორმაციო გამოშვებებს ყოველდღიურად ამზადებდა. მათი ქრონომეტრაჟი დაახლოებით 10 წუთი იყო და 3-4 სიუჟეტს მოიცავდა. ახალი ამბების გამოშვებებში აქცენტი მთავრობისა და პარლამენტის

ირგვლივ არსებულ საკითხებზე გაკეთდა. გადაცემები დაბალანსებული იყო; ჟურნალისტების მხრიდან მოვლენების მიკერძოებულად გაშუქების ფაქტები არ გამოვლენილა.


"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 33 წუთი მთავრობას დაეთმო, 13 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, 6 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 4 წუთი - პრეზიდენტს, 1,68 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურად საუბრობდნენ. ძალიან მცირე პოზიტიური ტონი გამოვლინდა მთავრობის (6%), ადგილობრივი თვითმმართველობის (13%) და პრეზიდენტის (4%) გაშუქებისას. დაფიქსირდა ნეგატიურ ტონში გაშუქებაც: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (73%), პრეზიდენტი (40%), ადგილობრივი თვითმმართველობა (33%).



სუბიექტებზე საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტები. არაპირდაპირი გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მეტი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (90%) და პრეზიდენტის (77%) შემთხვევებში იყო. ხოლო პირდაპირი გაშუქების - მთავრობის (61%) და კვალიცია "ქართული ოცნების" (77% - დათმობილი დრო დაახლოებით 2 წუთი) შემთხვევებში.




საანგარიშო კვირის მანძილზე ტელეკომპანია "გურჯაანის" საინფორმაციო გამოშვებების მთავარ თემებს კახეთის რეგიონში წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემები


წარმოადგენდა. თუმცა, ყურადღების გარეშე არც ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები დარჩენილა. მთავრობის სხდომა, ფინანსთა სამინისტროს და პროკურატურის ახალი ინიციატივები, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში დაწყებული საკადრო ცვლილებები - ეს ის საკითხები იყო, რომელზეც კვირის განმავლობაში ჟურნალისტებმა მთავრი აქცენტები გააკეთეს. მოვლენები დაბალანსებულად და მიუკერძოებლად გაშუქდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნად მოიმატა ნეგატიურმა ტონმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (73%) და ადგილობრივი თვითმმართველობის (33%) გაშუქებისას. საანგარიშო კვირაში ნაკლებად შუქდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. ამის პარალელურად მოიმატა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის კრიტიკულმა შეფასებებმა, განსაკუთრებით რესპოდენტების მხრიდან.


"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - საანგარიშო კვირის მანძილზე გაშუქების 9 წუთი ჰქონდა ადგილობრივ თვითმმართველობას. ხოლო მონიტორინგის სუბიექტებს: პარლამენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მთავრობა - წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმო.



სუბიექტებზე უმეტეს წილად ნეიტრალურად საუბრობდნენ:




ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას თითქმის თანაბარი იყო პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებელი:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა გააშუქა. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო, ჟურნალისტის ტექსტში კი არ იგრძნობოდა სუბიექტური დამოკიდებულება.


"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო - 19 წუთი მთავრობის გაშუქებას დაეთმო, 5 წუთი - პარლამენტს, 3 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.



სუბიექტებს ნეიტრალურად აშუქებდნენ. უარყოფითი გაშუქება ჰქონდათ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (34%) და კოალიცია "ქართულ ოცნებას" (37%). მათთვის დათმობილი დრო წუთზე ოდნავ მეტია.



მთავრობის გაშუქებისას პირდაპირი საუბარი დათმობილი დროის 76% შეადგენდა. ირიბი საუბარი პირდაპირზე მეტი იყო პარლამენტის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას.




საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „მეგა ტვ“ ძირითადად ახალი მთავრობის საქმიანობას აშუქებდა: ამ სუბიექტს 20 წუთი დაეთმო, მომდევნო სუბიექტ პარლამენტს კი - 6 წუთი.


აღსანიშნავია, რომ „მეგა ტვ-ს“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტები უმეტესად ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ. სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებული იყო და როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენელთა პოზიციებს წარმოაჩენდა.

"ზარი" (სამტრედია) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტები არ გაუშუქებიათ. მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო 1,71 წუთი.

„მე-9 ტალღა“ (ფოთი) - მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო, 9 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 6 წუთი წილად ხვდა მთავრობას, 5 წუთი - პარლამენტს, 4 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 3 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".




სუბიექტებზე საუბრისას სამივე ტონი გამოვლინდა. ნეგატიურ ტონში გაშუქების 78% ჰქონდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. ნეიტრალური ტონი ყველაზე მეტი (77%) ადგილობრივ თვითმმართველობაზე საუბრისას გვქონდა, ხოლო პოზიტიური - პარლამენტის (40%) და მთავრობის (36%) შემთხვევებში.



სუბიექტებზე საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტებსაც ეთმობოდათ დრო. პირდაპირი გაშუქება მეტი იყო მთავრობის (74%) და პარლამენტის (69%) შემთხვევებში. ხოლო

ირიბი საუბარი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (83%) და კოალიცია "ქართული ოცნების" (73%) გაშუქებისას სჭარბობდა.



არხის ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებში გაშუქდა როგორც პოლიტიკური, ისე ადგილობრივი კულტურულ-სპორტული სიახლეები. დიდი დრო დაეთმო ფოთის პორტის თანამშრომლების გაფიცვას, ახალი მერით უკმაყოფილო კოალიცია "ქართული ოცნების" აქციას, ასევე ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის, ეკა ბესელიას შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. მოვლენების გაშუქებისას ჟურნალისტის ტექსტი დაბალანსებული იყო, არ შეიმჩნეოდა მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკოსის მიმართ. საანგარიშო პერიოდში ეთერი რეგიონული მაუწყებელთა ასოციაციის მიერ მომზადებულ სიუჟეტსაც დაეთმო.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

5-11 ნოემბრის მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მეთოდხმეტე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.